ბრძანება:№64. 64260374
თარიღი:06/02/2026

ვანის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2026 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 22 იანვრის N№64.6426022001 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მოსახლეობასთან შეხვედრის გრაფიკის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ს 54- ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილების; ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2401 განკარგულების და ,,ვანის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2026 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 22 იანვრის N№64.6426022001 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2026 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, შექმნილი სამუშაო ჯგუფის მოსახლეობასთან შეხვედრის გრაფიკი წარმოდგენილი დანართის N1 შესაბამისად.

2. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ.სამტრედია ძმები ნინუების ქ. N1).

ალექსანდრე გოგორიშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი